

შინაური საქმეები.

№ 8.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

შოველ-კვირული გაზეთი

კვირა, 4 მარტი 1912 წელი.

შინაური: 1) ქართველ სამღვდლოების საყურადღებოდ—ეპისკ. დავითისა; 2) ყოვლადსამღვდლო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალიერებლად; 3) ქართველ სამღვდლოების საყურადღებოდ ნაქულბაქელი მოძღვრისა; 4) მგზავრის შენიშვნები—ხომლეოსა; 5) კვირიდამ-კვირამდე; 6) „და მთავრობის მოყვარებისა ნუ მიმცემ მე—მღვდლისა; 7) გაფიცვა; 8) მატერიალიზმი; 9) ღია წერილი მამა ბლალაჩინის იოანესადმი; 10) ბიბლიოგრაფიული შენიშვნები ა) „Прот. Корн. С. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь“—მწიგნობარისა, ბ) დიდი მოურავი თბ. ს. ჭვარიანისა; 11) ბლ. თეოფანე კალანდარაშვილის რაპორტი ყოვლადსამღვდლო ლეონიდისადმი; 12) მადლობის გამოცხადება ა) ბლ. ი. მარგვიანისა, ბ) სამუილ ანთაძისა, გ) მლ. ივ. ჩლაიძისა; 13) შინაურის საქმეების ფოტო.

ქართველ სამღვდლოების საყურადღებოდ
კეთილმსახურების დაცვა და ამისა აღდგენას
საჭიროება *)

2). განშენება ეკლესიებისა. ყველასთვის ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ გარეგან მოწყობილობას ამა თუ იმ საგნებისა ადამიანის სულის მოძრაობაზე დიდი ზედგავლენა აქვს, ისინი მასში წარმოშობენ შესაფერ აზრებს, გრძობებს, და რამდენად გარეგანი მორთულობა შევნიერია, იმდენად სულის მოძრაობაც უფრო ღონიერია. რელიგიური გრძობა ადამიანისა მით უფრო ძლიერდება, ქრისტიანე თვისს გულს მით უფრო მიმართავს ღვთისადმი, რამდენად უფრო კარგი მოწყობილია ის ადგილი, სადაც იგი ღვთისადმი, ე. ი. ტაძარი. მართალია, არიან ისეთი პირები, რომლებიც არა ნაკლებ გულმოდგინედ ღვთისადმი მოძღვრებენ მაშინაც, როცა ისინი ღარიბ ეკლესიაში სდგანან და უბრალო, გაუმშენებელ-ღვთის-მსახურებას ისმენენ, მაგრამ ესეთი პირების

მაგალითი ზემოთქმულ საზოგადო კანონს ვერ დაარღვევს, ასეთი პირები ძლიერ იშვიათები არიან. მხოლოდ განსაკუთრებული ღმერთთან დაახლოვებული, წმინდა ადამიანები ღვთისადმი და იესებისან ტკბილ და სასიხარულო გრძობებითა დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ სრულდება ღვთისმსახურება და როგორი მოწყობილობისაა ეკლესია; საზოგადოდ კი ჩვენ სუსტნი ვართ და ღვთისადმი, სულის ღვთისადმი მიმართვაში ვსაჭიროებთ გარეგან საშუალებებში; რო უფრო მხურვალე გრძობები დაგვებადოს, ამისათვის საჭიროა რომ ეკლესია, რაც შეიძლება, კარგად იქნეს მოწყობილი. აქ ჩვენ ზომიერი გამშენებულობა გვაქვს სახეში, გამშენებულობა დიდებული, მაგრამ მარტივი, ისე, როგორც ძველად იყო ჩვენს ეკლესიებში. დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიის სიმშენიერესა. ამისთვის მოძღვრებმა უნდა იქონიონ ზრუნვა ეკლესიების განშენებაზე, რათა მათდამი ხალხი მიიზიდონ. საშუალებათა მოსაპოვებლად მიმართონ მრევლთ, განსაკუთრებით შეძლებულ პართ და შეგონონ მათ ტაძრების განშენების საჭიროება და სარგებლობა; როცა ეკლესია განშენებული იქნება,

*) იხ. „შინ. საქ.“ № 7.

მაშინ ხალხიც ბლომად იწყებს სიარულს, შემოსავალიც მეტი იქნება. აქ არ შეგვიძლია გულმწუხარებით არ მოვიხსენოთ გულგრილობა და დაუდევრობა ჩვენი ერისა ეკლესიებისადმი, განსაკუთრებით კი განათლებულ და შეძლებულ საზოგადოებისა, თავად აზნაურებისა. ძველ დროში ჩვენი დიდებულნი მრავალ და მშვენიერ ტაძრებს აშენებდნენ, სწირავდნენ ოქროთი და ვერცლით მოჭედებულ ხატებს, ოქრომკედით მოქსოვილ შესამოსლებს, თვის ადგილ-მამულებს, ახლა კი ეკლესიებს ვინ ჩივის?! მაშინ როდესაც უსარგებლო, მხოლოდ მოკლე ჟამიერ სიამოვნების მომნიჭებელ საგნებზე ასობით და ათასობით ხარჯვენ, ამას გარდა, წამაქვებელი მაგალითები თვალწინ მაინც არ ედგას ჩვენ ერს; არ ბაძავს იგი რუსებსა, რომლებიც სიხარულით პასუხს იძლევიან მოძღვართა მოწოდებაზე. აკმაყოფილებენ ეკლესიის საჭიროებათა; უღარიბესნიც კი ამათგანნი არ ჩამორჩებიან შეძლებულთა, ესენიც დაუზარებლად სწირავენ თვისს წვლილსა. შეუმჩნევლად რჩება ჩვენი ხალხისთვის ის მოვლენა, რომ თითქმის არცერთი ცოტათი მაინც შეძლებული სომეხი ისე არ ჩადის საფლავში, რომ ცოტაოდენი ეკლესიის სასარგებლოდ არ დასტოვოს.

3). განშვენებული ღვთის მსახურება. შემჩნეულია, რო ხალხი ბლომად იკრიბება იმ ეკლესიებში, სადაც ღვთის-მსახურება გამშვენებით სრულდება. იმ ეკლესიებში კი, სადაც საღმთო სასახური ყოველივე წესიერებას მოკლებულია, სადაც მხოლოდ მღვდლის ბუტბუტი და მედავითნის ტარატური ისმის, ორიოდე კაცი თუ ნახეთ, კარგია. განშვენებულ საეკლესიო მსახურების მიზიდველობა ხალხისათვის მოძღვრებისგან არ უნდა იქნეს უგულვებელს-ყოფილი. გარდა იმისა, რო ღვთის-მსახურება უნდა სრულდებოდეს კრძალულებით, და ღოცვების და საგალობლების სიტყვები უნდა წარმოითქმებოდეს, გარკვევით, ყველას გასაგონად, კიდევ საჭიროა რომ ღვთის-მსახურება ჯეროვან წესიერებითა და გამშვენებით სრულდებოდეს. კვირეულების და ასამაღლებლების წარმოთქმას, ჯვრის გადასახვას, კმევას, მსახუ-

რების დროს ეკლესიაში სიარულს, და ყოველ მოქმედებებს ეკლესიის მოსამსახურეთა შესაფერი შნო უნდა მიეცეს.

4). ყველაზე უფრო დამამშენებელი ეკლესიურ სამსახურისა არის გალობა. მწყობრი და კეთილზმოვანი გალობა ხალხს ძლიერ იზიდეეს და აიძულებს მას ზეცისადმი სულის ამადლებად. ამიტომ ყურადღება უმთავრესად საეკლესიო გალობას უნდა მიექცეს. სამრევლოში უნდა გამოარჩიონ კარგი ხმის მექონნი, მათგან მგალობელთა გუნდი უნდა შეადგინონ. აგრეთვე საეკლესიო გალობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ სამრევლო სკოლების ბავშვებმაც. ჩვენ პირადიდ სამხმიან გალობას ვაძლევთ უპირატესობას იგი უფრო ეკლესიურია, მაგრამ არც ევროპიულად გაკეთილზმოვნებულ გალობის წინააღმდეგნი ვართ, რასაკვირველია; ჩვენი გალობის ძირითადი განსხვავებათა დაცვითა.

5). **სხვადასხვა სამხიარულო საეკლესიო მსახურებანი:** არქიელის მსახურება, პარაკლისის გადახდა კრებულებით, სასწაულთმოქმედ ხატების შეგება და მათი ჩამოტარება ხალხში, ლიტანიები და სხვა და სხვა. ასეთი გარეგანი გამშვენებული ღვთისმსახურება ძალიან სასარგებლოა; მის მაგიერ, რომ ხალხი სხვა და სხვა ადგილებში ცუდად დროს ატარებდეს, ის არ სჯობია მივიზიდოთ იგი ეკლესიებში ღვთის-მსახურების სიმშვენიითა და მიეცეს მას მიზეზი სულის აღმართვის ღვთისადმი.

6). **ქადაგება ეკლესიის კათედრიდან.** მაგალითები გვიჩვენებენ, რო ქადაგება ხალხს ძლიერ იზიდავს ეკლესიაში, ქადაგება არა ორჯერ და სამჯერ მთელ წლის განმავლობაში, არამედ, რაც შეიძლება, ხშირი, თითქმის, ყოველ კვირა-უქმი დღეს წარმოთქმული, ქადაგება, შედგენილი სამწყსოთა გონებრივ განვითარების მიხედვით და მათ სულიერ მოთხოვნილებათა, ზნეობის მღგომარეობის შესაფერი, ქადაგება ნათელი, გონივრული, სადა, ყველასთვის გასაგები, ზეპირად, ურველოდ წარმოთქმული; გრძელი, მრავალჭრელსიტყვოვანი ქადაგება არ არის მოსაწონი, მისგან ხალხი იღლება და ბოლოს დროს იგი მის თავსაც აბეზრებს. ხშირად

ვაიგონებთ ჩვენ სამღვდლოებში სიტყვას ქადაგების უსარგებლობაზე. ამბობენ, ფუჭი და უნაყოფოა იგიო, მისგან ზნეობრივი ცხოვრება ხალხისა სრულიადაც არ უმჯობესდებაო. მართალია, ქადაგება სამწყსოის მომეტებულ ნაწილის ცხოვრებას ვერ შეცვლის, მაგრამ ორიოდ აღდგინი ხომ მაინც ჩაუქრდება და იმეცადინებს თავისთავის ზნეობრივად გადაქმნას, გასწორებასა და გაუკეთესებას. თუ არცერთიც არ გადაკეთდა, ცოდვილიანობის შეგნება მაინც დაიბადება ხალხში, თუ ესეც არ იქნა, რელიგიურ ცოდნას მაინც შეიძენს ხალხი, და მისი გონება ცოტათი მაინც ამოძრავდება და განვითარდება და ესეც ხომ კარგი საქმეა. მოძღვრებმა უნდა იქადაგონ კიდევ იმისთვის, რომ შეასრულონ თვისი მოვალეობა; მათ თვისი საქმე უნდა გააკეთონ, ხოლო რაც შეეხება კაცის ზნეობითი ცხოვრების გაუმჯობესობას, ეს ღვთის ნებაა კიდევ ჩვენი განათლებული სამღვდლოება უქადაგებლობის მიზეზს აწერს თვის მოუშადებლობას, იმას, რომ იგი სასულიერო სკოლაში ქართულ ენაზე ქადაგებას არ შეაჩვიეს. ეს სულ ტყუილი მიზეზიანობაა. თუ გინდ რო ეს ასე იყოს, განა ჩვენ ისე სუსტები ვართ, ისე მოკლებული ვართ თვითმოქმედებას, რომ არ შეგვიძლია ჩვენივე შევივსოთ ჩვენი სწავლა-განათლების ნაკლი, ჩვენივე ვიკითხოთ ქართული საღმთო წერილი, ჩვენივე შევისწავლოთ ქართულ ენაზე ქადაგების შედგენა! თუ ეს არ შეგვიძლია, მაშ ჩვენ კაცები არ ვყოფილვართ.

7). **აღდგენა ადგილობრივ, ქართველ წმიდანების დღეების ბრწყინვალე დღესასწაულეებისა.** სირცხვილი არ არის, რომ ნინოობას ქართლ-კახეთშიაც კი ყოველგან არ უქმობენ! დასაძრახისი არაა, რომ წმ. ქეთევან დედოფლის დღეს მხოლოდ ალავერდში დღესასწაულობენ, სხვაგან კი არა! საგმობი არა ვართ, რომ თფილისში განისვენებს წმ. შუშინიკა, რომ აქ წამებულ იქნა აბო, და აქ მათი დღეობა შეუმჩნეველია! რატომ თფილისის სამღვდლოება დადებულად, ყველასთვის დასანახად არ დღესასწაულობს ამ დღეებს! რატომ არ მართავს ლიტანიებსა!

8). **დაარსება საზოგადოებისა, რომელიც იზრუნებს რელიგიურ-ზნეობრივი შინაარსის ნაწერების გამოცემასა და გავრცელებას ხალხში უფასოდ.** თავი და თავი დაწესებულება ამ საზოგადოების უნდა იყოს თფილისში, ხოლო სხვა ქალაქებსა და დაბებში განყოფილებები.

9). **სამღვდლოების მჭიდრო დაკავშირება ინტელიგენციასთან.** ახლა ინტელიგენციას ხალხზე დიდი გავლენა აქვს, ის არის იმისი გზის მაჩვენებელი. თუ გვინდა, რომ ჩვენც ვიქონიოთ გავლენა ხალხზე, დაუახლოვდეთ ისეთ განათლებულ პირებს, რომლებსაც უყვარსთ სამშობლო და ეკლესია; იმათი დახმარებით სხვა ინტელიგენტებსაც მოვიპოვებთ და შეერთებული ძალითა და მოქმედებით ბევრ რასმე გავაკეთებთ.

10. **სამღვდლოების მოძღვრებითი მოქმედება რომ ნაყოფიერი იქნეს,** საჭიროა შეერთება და ერთი საზოგადოების შედგენა; ერთმანეთის სწავლება ერთიმეორის დახმარებით, ცოდნის და გამოცდილების გაზიარებით ერთიმეორისთვის, შეერთებული ხმით დალაღებითა ბევრი რამე ვაკეთდება. პირველი მაგალითი ამისთანა კავშირისა თფილისის სამღვდლოებამ უნდა გვაჩვენოს. უკუაგდონ მოწინავე მამებმა თვისი წვრილმანი, დამამცირებელი და დამღუბველი თავმოყვარეობა, დაუთმონ ერთი მეორეს, შეთანხმდენ, შეერთდენ და შეიმუშაონ მოღვაწეობის პროგრამა, აჩვენონ საშუალებანი მღვდლობის დანიშნულების განხორციელებისთვის, და ამით მისცენ მაგალითი მთელ სამღვდლოებს.

ეპისკოპოსი დავითი.

ყოველდღისამღვდლო ღვთისმშობლის მოგზაურობა სამეგრელოს ეპისკოპოსის დასათვალიერებლად.

პირველი შეფის ეკლესია ხისაა და საკმაოდაც არის მოწყობილი, მხოლოდ აკლია შიგნით და ვარეთ კედლების შეღებვა. საერთოთ რაც კი რამაა შესაკეთებელი, ყოვლად სამღვდლომ

ყველაფერზე მიაქცია ყურადღება, უჩვენა და აუხსნა მრევლს და კრებულს.

თითქმის მთელი მრევლი შეკრებულყო მღვდელმთავრისაგან ლოცვა-კურთხევის მისაღებად და დარიგების მოსასმენად. ჩვეულებისამებრ, მისმა მეუღლემაც ასეთი სიტყვით მიმართა მორწმუნე მრევლს:

დიდათ მოხარული ვარ, რომ დიდი და პატარა უკლებლად შეგროვილხართ წმ. ტაძარში. ეს ჩემი სიხარული ბედნიერებად იცვლება, თუ კი რომელიმე სანდო პირი დამარწმუნებს, რომ წმ. ტაძრის სიყვარული თქვენი გულის მუდმივ თვისებაა, რომ ტაძარში მოსვლა წირვა-ლოცვის მოსასმენად სულიერ მოთხოვნილებათ გაქვთ გადაქცეული.

რა არის, ჩემო სულიერო შვილებო, ტაძარი და ვინ მოიგონა იგი?

ტაძარი ზეციდან ჩამოწვდენილი ღვთის ხელია კაცისადმი, ტაძარი ხილია გადებული ღვთისაგან ზეცისა და დედა მიწის შორის, ტაძარი ღვთისაგან ბოძებული დროშაა, რომ მიწის შვილი ღვთის შვილად გახდეს, რომ კაცს ახსოვდეს ამ ქვეყნად თავისი მყოფობის აზრი, გაიგოს საიდანაა მოსული და სად მიდის, ვინ არის იგი და რაში მდგომარეობს მისი არსებობის განსაკუთრებითი დანიშნულება. ტაძარში კაცი ტყობულობს, რომ მთელი ქვეყანა და თითონაც, როგორც ქვეყნიერობის შემადგენელი ნაწილი, ღვთისაგანაა შექმნილი—დაბადებული, იმ ძირითადი განსხვავებით კი, რომ მართო იგი ცოცხლობს ღვთისაგან შთაბერილი უკვდავი სულით, რომ ქვეყნიური ცხოვრება ეძლევა მას საყარჯიშოდ სიკეთეში, ქვეყნის მოქმედებაში, ღვთის მიმსგავსებაში, ღვთის, მცნებათა შესწავლა-განხორციელებაში, გონებისა და ზნეობის განათლება-განვითარებაში, სათნოება-სიყვარულში, რომ შემდეგ ამ ქვეყნით გასვლისა, მას შოვლის მეორე, საუკუნო ცხოვრება, რომელიც იქნება ან სანეტარო და გასახარელი, ან სატირალი და სატანჯველი, იმის და მიხედვით, თუ როგორ ცხოვრობდა და მოქმედობდა იგი ამ ქვეყანაზე, ღვთისნიერათ, თუ უღვთოდ, პირუტყვულად.

ვინც ღმერთსა სცნობს ქვეყნისა და თავის შემოქმედად და გრძობს, რომ იგი ცოცხლობს ღვთისგან მოცემული სულით, მას ყველა თავისი მსგავსი მიაჩნია მახლობელად, ყველა ადამიანს ეპყრობა ძმური თანაგრძობით და სიყვარულით, დიდი პატივისცემით და თავაზიანობით, მას ამ ქვეყნად ისე უკავია თავი, როგორც გონიერ სტუმარს მეფის სასახლეში. როგორც მეფის სტუმარი ყოველთვის განკრძალულია, რომ არაფერი საწყენი არა შეახვედროს-რა თავის მასპინძელს არც სიტყვით, არც საქმით და არც აზრით, ისე ღვთის მორწმუნე კაცი განკრძალულია თავის ცხოვრებაში ყოველიფრისაგან, რაც საწინააღმდეგო და დამრღვევია ღვთის მცნებისა. როგორც მეფის სტუმარი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობა მეფის შვილებს, ისე ღვთის მორწმუნე კაცს ყველა ადამიანი მიაჩნია თავის მახლობლად, ყველასთან თავი უკავია ძმური სიყვარულით და თანაგრძობით, ყველას პატივისცემული და მასიამოვნებელია. როგორც მეფის სტუმარს ეთაკილება უგუნურობა, უვიცობა, გონებრივი სიბნელე, ისე ღვთის მორწმუნე კაცს ერცხვინება გონბარივი სიბნელე და მუდამ იმის ცდაშია, რომ მოიშოროს იგი განივითაროს გონება, შეიძინოს ცოდნა, ყველაფერს მიხვდეს და ყველაფერი ესმოდეს.

ღვთის მორწმუნე ადამიანი დაჯერებულია, რომ იმ დროს, როდესაც მიწიდან შექმნილი მისი ხორცი ათავეებს თავის ქვეყნიურ მოგზაურობას და მიწასვე უბრუნდება, ღვთისაგან მოცემული მისი სულისთვის იღება კარი მეორე, სამარადისო ცხოვრებისა და ეს ახალი ცხოვრება იმდენად გაახარებს მას, რამდენადაც, თავისი ქვეყნიური ცხოვრების დროს ხელგაშლით სთესდა სიკეთეს, რამდენადაც თავგამოდებით უყვარდა სხვები, რამდენადაც ღვთის სახელით ემსახურებოდა სიტყვით, საქმით, ქონებით, გონებით და ღონით საპყრებს, ქვრივებს, ობლებს, სნეულებს, გლახაკებს, უსამართლოდ დევნულებს და გაჭირვებულებს.

აი ამას გვაგონებს წმ. ტაძარი, აი ამას ჩაგვძახის ყურში ქრისტეს ეკლესია, აი ეს გაი-

სმის, ეს გამოკრთის და ეს გამოკრთობს ჩვენი სამლოცველოებიდან, რომლებითაც მოფენილია სოფლები და ქალაქები. არავითარ უმაღლესსაწველებელში არ გაისმის ამაზე მაღალი, ამაზე სამღთო, ამაზე სასარგებლო და საბედნიერო სწავლა-ქადაგება; ვერავითარი მეცნიერი, ბრძენი და გენიოსი ვერასოდეს ვერ მიიღწევდა და ვერ მოიგონებდა ამ მოძღვრებას, რომ თითონ ღმერთს არ მოელო ადამიანზე მოწყალება და არ დაეარსებინა ამისთვის ქვეყანაზე ეკლესია, ანუ ტაძარი, რომ თითონ ღმერთს არ ეჩვენებინა კაცისათვის ტაძრის აუცილებლობა. ნეტარია ის ერი, რომელმაც იცის, რომ ტაძარი არა გამოგონებია კაცისა, არამედ პირდაპირი აზრი და განცხადება მოწყალე ღვთისა და ამის გამო ჰაერსავით უცილობელ საჭიროებათ მიიჩნია იგი თავისი არსებობისათვის.

სამწუხაროდ, ყოველთვის ყოფილან და დღესაც არიან ცოდვილ ქვეყანაზე ისეთი პირები, რომლებსაც სძულთ ტაძარი, სდევნიან, სდევნიან ეკლესიას, ანგრევენ და სძარცვვენ მამა-პაპათა სალოცავებს, ვინაიდან არ სწამთ ღმერთი, უარს ჰყოფენ კაცის სულის არსებობას და უაზრო ოცნებად სთვლიან საიქიოცხოვრებას. ურწმუნო პირების შეხედულებით, კაცი თავისთავად გაჩნდა დაუსაბამო ბუნების წიაღში და მის არსებობას არავითარი აზრი არა აქვს გარდა იმისა, რომ, სინამ ცოცხალია, რამდენადაც შეუძლია, ალაღოს თავისი სხეული, ე. ი. უხვად იკვებოს, როგორც ენებება, ისე ჩაიცვას და დაიხუროს და ყოველი მოთხოვნილება თავისი სხეულისა დაუბრკოლებლად დაიკმაყოფილოს, რადგანაც სიკვდილი—ისე მოსპობს და გასთქვეფს მას მიწაში, როგორც ისპობიან და მტვრად იქცევიან ხოლმე ქარისაგან წაქცეული, ან კაცისაგან მოჭრილი დიდრონი ხეებიო. ამგვარი ქადაგება გზპირუტყვების ქადაგებაა. ურწმუნოები, როგორც პირუტყვები, ერთი ერთმანეთს ჰფაშავენ და უმოწყალოდ ასახიჩრებენ ლუკმის გამოსაგლეჯად, სხვის სიმდიდრის მისათვისებლად, სხვის ბინაში მოსაკალათებლად; ურწმუნოები, როგორც ოთხფეხები, უარს ჰყოფენ ოჯახობას, არ ცნობილობენ ნა-

თესაობას და ხშირად თვით ღვიძლ დაზედაც ისე საზიზღრად ცილობენ ხოლმე, როგორც ოთხფეხების გროვა. საკმარისია სულ უბრალო შემთხვევა, რომ ურწმუნოებს აერიოთ დავთრები, დაეკარგოთ მხნეობა და დაუფიქრებლად ან ტყვია იკრან საფეთქელში, ან ხეზე ჩამოკონწიალდნენ თავით, ან ჩაინთქენენ აზვირთებულ მდინარეში, ან სამართებელი გამოისვან ყელში და ან სიცოცხლის მომსპობი ათასგვარი საწამლავეები შესვან მალულად.

ოჰ, რა ცივი და ვერანია ტაძრის მადლ მოსილ ქერს გარეშე დარჩომილი კაცის გული, რა ფუჭი და დამახინჯებულია ეკლესიის მღვწელის გონება, რა უბადრუკი და საცოდავი რამაა მთლად, ვისაც არა სწამს ის მაღალი და ქეშმარიტი მოძღვრება ღვთისა, და საიქიოს შესახებ, რომელიც დაუწყვეტელი წყაროსავით მოსჩქეფს ქრისტეს ეკლესიაში. ტაძრის უარის მყოფელი ლანდია ადამიანისა, და არა ნამდვილი ადამიანი, ლეშია კუბოს მატლების გამხარებელი, და არა სულიერი არსება, წინაწინ დამხადებული კერძია სიკვდილისა, და არა სიცოცხლით სავსე წვერი შეგნებული საზოგადოებისა.

მეორე შეხვის ეკლესია ქვიტკირისაა. დროთა ვითარებისა გამო დაძველებულა და მღვდელთმთავრის მიბრძანების მოლოდინში, ხალხი თვითონ შესდგომია მის გაშენება-შეკეთებას.

პირველისა და მეორე შეხვის ეკლესიების მრევლმა მოახსენეს ყოვლად სამღვდელს: მოძრაობის შემდეგ ძალიან დასუსტდა ჩვენ შორის ზნეობა, აღარა გვაქვს მეზობლური სიყვარული, დავივიწყეთ უნტროს-უფროსობა, მგლის თვლით უყურებთ ერთი მეორესა, აღარაფერს არა ჰგავს ვენი ცხოვრება იმის გამო, რომ ურწმუნო მქადაგებლების ჩავონებით ხალხმა მიატოვა კვირა-უქმეში წირვა-ლოცვაზე სიარული და წესად დაიდო ბანქოს სათამაშოდ და ქიფობა-ლოთობისათვის მახლობელ დაბების ბაზარში სიარული, ვითომდა სავაჭროდ და თავის ნაშრომის გასასაღებლად. გთხოვთ აგვიკრძალოთ კვირა-უქმეში წირვის გამოსვლამდინ სხვაგან წასვლა, უბრძანოთ ბ. ბოქაულს, რომ შეგვკრი-

*) ერიდეთ, რამდენადაც კი შეგიძლიათ, ურწმუნოებას. იცოდეთ, რომ სულით მტკიცე და ბედნიერია ამ ქვეყნად მხოლოდ ის, ვინც მორჩილი შვილია ქრისტეს ეკლესიისა, ვინც შეგნებული და გულითადი პატივისმცემელია მამა-პაპათა სალოცავისა, ვისთვისაც წმინდა ტაძარში გაისმის ზეციერი მამის ხმა, ვინც გულით და გონებით მიყრდნობილია წმ. ეკლესიის საღმრთო ქადაგებაზე

ერთმა გენიოსმა მსოფლიო მწერალმა, რომელსაც თავის სიკვდილის წინ გადაეკვალა ძმის მცირეწლოვანი ქალიშვილი, შემდეგი ბარათი დაუტოვა თავის ძმას:

„შენს პატარა ბავშვს გაუკვირდება თავის ბიძას რომ შეხვდება ზეცაში. ზეცა რომ ნამდვილად არსებობს, ეს ჩემთვის ეჭვს გარეშე გახდა, შემდეგ იმ ტანჯვებისა, რომლებიც მარგუნა წუთისოფელმა. მშვიდობით, ძვირფასო ძმაო! მამათა ჩვენთა ღმერთი იყოს შენი მფარველი. იცოდე, რომ ჩვენი წინაპრები, ჩვენი მამები ჩვენზე უკეთესები იყვნენ. ისინი ღვთის წინაშე იმდაბლებდნენ თავს და სამაგიეროთ პირმტკიცენი და შეუდრეკელნი იყვნენ წინაშე-კაცთა, წინაშე ქვეყნიური ძალისა. მე კი, წინააღმდეგ ამისა, ქედმაღალი და შეუპოვარი ვიყავი ზეცისადმი და ადამიანებს კი მუდამ მონურად ვეფერებოდი. ამიტომაცაა, რომ ახლა ყველასაგან დავიწყებული ვარ გასრესილი მატლივით. დიდება და პატივი მხოლოდსა მაღალსა ღმერთსა!“ (გენრიხ გეინე.)

საყვარელო სულიერო შვილებო, თუ არ გსურთ, რომ ყველასაგან გასრესილ-გალეწილები დარჩეთ, თუ არ გსურთ, რომ განცამტვრდეთ და თქვენი ხსენება აღიგავოს დედამიწიდან, შეიყვარეთ მთელი თქვენი არსებით, მსგავსად თქვენი სახელოვანი წინაპრებისა, წმიდა ეკლესიისა, თქვენი მოქალაქობა, თქვენი განწყობილება ერთმანეთში და მეზობლებთან, თვითეული თქვენი საქმე და აზრი დაუქვემდებარეთ ეკლესიის საღმრთო მოძღვრებას. არსებობს ღმერთი, არსებობს სული, არსებობს საიქიო. გარეშე ამ რწმენისა კაცის არსებობა არაერთარი საღირალია. ღმერთმა მოგცეთ ყოველი სიკეთე.

*) ეს დასასრულია ეპ. ლეონიდის სიტყვისა, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზით გამოგვრჩენია. იკით. № 8-ის მეხუთე გვერდზე, მეორე სვეტის ზევიდან 24 სტრიქონის შემდეგ.

ბოს ყველანი ერთად, შეგვადგენინოს ამის თაობაზე განაჩენი, მოგვიწერინოს ყველას ხელი და ძალაში ჩვენ თვითონ მივიყვანოთ ვინც გასტყეს დადგენილებას ჩვენ თვითონ დავაჯარიმებთ შესაფერისად სოფლის რომელიმე კეთილ დაწესებულების სასარგებლოთ მათმა მეუფებამ უკუერთხა ხალხს კეთილი განზრახვა და თანამზღებელ ბოქაულს დაავალა შეესრულებინა მოხონელების სურვილი.

ჩვენი ხალხი დამჯერე, ქვიანი და გონება მახვილია, იგი ჩქარა ხედება რაც მისთვის საზარალო და მავნებელია და თუ, მიუხედავად ამისა, ცხოვრებაში მისდევს ლოთობას და უზნეობას, ეს იმისი ბრალია, რომ მას არა ჰყვანან პატრონების ჩამგონებელი, შეგნებული მოძღვრები და თავდადებული წინამძღოლი. პირიქით, ჩვენში თითქმის ყველა იმასა ცდილობს, რომ შრომელი სოფლის ხალხი ქონებითა და ზნობით გაიფტქენას და დაუძღურდეს.

ნათქვამის ცხად საყოფელად ავიღოთ თუ გინდ შემდეგი ფაქტი.

ივანობის თვე (თიბათვე) სამეგრელოში მოწეული პარკის გაყიდის თვეა, ქალი და კაცი სიამოვნებით მიაქრიალებს აბრეშუმის პარკით დატვირთულ ურემს მახლობელ ბაზრისკენ. ყველა ფიქრობს, გაყიდი-პარკს და წელში გავიმართები, აღებული ფულებით მოვიშორებ მოვლევებს, შევმოსავ ცოლშვილს, შევიძენ რაც ოჯახში მაკლიაო და სხვა. მაგრამ მტერი და დუშმანი დაგიღონდეს, მკითხველო, როგორც ესენი დაღონებული და დამარებული ბრუნდებიან ბაზრიდან სახლში. ოფლით და სისხლით ნაშოვარი ფული ბაზარშივე დაებნათ დაეხარჯათ უსარგებლოდ თავიანთ ოჯახებისა, რადგანაც თვალთ მაქცობით და ათას გვარი მანქანების მეოხებით ირველად პირკში შეიუტყუეს ეს უბედურები ნახევარზე გიტიტვლებული, გერმანული ძროხებივით გათქვირებული თამთამაქალების ჭიდაობის საჩვენებლად, მერე ცირკიდან გაიპატივეს სამიკიტნოში ერთ ბოთლ ღვინოზე, ბოთლს მიჰყვა მეორე, მეორეს მესამე, გჩნდა არღანი, მერე დაებადათ ფაიტონით „კატაობის“ ფანტაზია და სხვა, სინამ შთლად არ მიიფშენი-

ტეს ამ უგვეანობას წვა და დაგვით ნაშოენი ფულები..

რა მოსაზრებით ხელ მძღვანელობს საერო მართველობა ასე ადვილათ რომ თანხმდება ცირკების გახსნას ბაზრობის დროს და ათასობით ავრცელებინებს უვიც ხალხში განცხადებებს ზნეობა დაცემული დედაკაცების ჭიდაობის თაობაზე? სად არიან სულიერი მამები ამ დაბების რომ არ აღიმაღლებენ თავიანთ ხმას ხალხის გარყვნილების აღვირ აყრილობის წინააღმდეგ? რას არიგებს ადგილობრივი ინტელეგენცია, რომ ბეჭედითი სიტყვის საშუალებით სამარცხენო ბოძზე არ გააკრავს ცირკის პატრონების უსუნდისოსაქციელს?

მგრამ ეს ხომ ხალხისადმი გულშემატკივრობის გამოჩენა იქნება და ვინ მისცა ბედკრულ დაბალ ხალხს გულშემატკივარი მოკეთე!

ვინ იცხელებს თავს იმის ფიქრით, რომ ეს ცირკ-არღან-სამიკიტნოები სულიერთაც და ხორციელთაც ფიტს და ნიათს აცლიან უვიც ხალხს!.....

მაგრამ ამაზე წერა შორს წაგვიყვანს. უბრუნდები ისევ ჩემი შენიშვნების პირდაპირ საგანს.

მეორე შეხვის ეკლესის დათვალიერების შემდეგ ადგილობრივმა მღვდელმა მიიპატიეა ყოვლად სამღვდლო თავის ოჯახში სასადილოთ და პატარა ხანს მოსასვენებლად. მე განვიზრახე მესარგებლა ამ შემთხვევით და დამეთვალირებია ამ შეხვის შესაეიშნავი ციხე, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, სიმორისა და უამინდობისა გამო, ვერ შევისრულე გულის წადილი და იმითი-ღვინუგეშე, რომ, როგორც მე მახსოვს, ეს ციხე ბ. მოხე ჯალაშვილსა აქვს აწერილი ბატონიშვილ ვახუშტის, „გეოგრაფიაში“. N

შემდეგი იქნება.

ქართველი სამღვდლოების საეურაღდუბოთ.

ქართველი სამღვდლოების წევრები საერთოდ იშვიათად გამოდიან პრესაში და, თუ

ვინმე გამოდის, უფრო რუსულ გამოცემებში ათავსებს თავის ნაწარმოებს. აგერ ეხლაც წინ გვიდევს მე-5-ე ნომერი რუსული „Кавказский Благовѣстникъ“ — ისა, რომელიც გამოდის თფილისში იქაური საეპარქიო ძისიონერის პლატონოვის რედაქტორობით. აღნიშნულ ნომერში ქართველი მღვდლის პლატონ ხუროშვილის წერილიც არის მოთავსებული. ჩვენ განზრახვა არა გვაქვს შევეხოთ ამ წერილის ღირებულებას შინაარსის მხრით. ვერ გავგიგია მხოლოდ, ვისთვის და რა მოსაზრებით ათავსებენ ქართველი მამები ასეთ წერილებს რუსულ ორგანოებში. ნუთუ მათ ჰგონიათ, რომ თავიანთი წერილებით დაახალისებენ რუს სამღვდლოებას და რუსთა საზოგადოებას? ნუთუ იგინი ფიქრობენ ამ წერილების საშუალებით რუს სამღვდლოებისა და საზოგადოების გაუმჯობესობას, გაწვრთნას და წინწაწევას რაიმე მხრით? არა ვგონებ.

რუს სამღვდლოებას და საზოგადოებას იმდენი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები მოეპოვებათ, იმდენი მზრუნველები, ხელმძღვანელები და გულშემატყვიარნი ჰყავთ, რომ პლ. ხუროშვილისაგან და მისი მსგავსი ქართველი ღვდლების ნაწერები, ყოველ შემთხვევაში, რუსთა საკიროებით არ არიან გამოწვეულნი და, როგორც ასეთები, ყოველთვის აზრსა და მნიშვნელობას მოკლებულად გამოიძირებიან იგინი უცხო ორგანოებიდან.

თუ ამ მორუსულე მამებს ქართველი ერი და სამღვდლოება ჰყავთ სახეში, მაშინ უფრო შესაბამი არ იქნება, რომ წერილებიც ქართულად სტამბონ, რადგანაც ერთი, რომ ქართულ სამღვდლოებაში ბევრმა რუსული არ იცის და მერე, ათასი რომ კარგათაც იცოდენ, ქართული სიტყვა ქართველს ყოველთვის ღრმად ჩასწვდება და მეტს გავლენას იქონიებს.

შესაძლოა ხსენებული მამები ქართული სასულიერო ორგანოს შესახებ უბად აღებული და წყალ წადებული „კიტრანა“ ახელის შეხედულების იყენენ და დამკირებათ სთვლიდენ თავიანთი კალმის ნამოქმედართა მოთავსებას ქართულ სასულიერო გამოცემაში, მაგრამ მწა-

რედ სცდებიან პატივცემული მამები. რათ ავიწყდებათ მათ ანდაზა: „ავია თუ კარგიაო, ქალო შენი ქმარიაო“! ქართული ბეჭედითი ორგანო მაინც ჩვენი გაჭირებისა ჩვენ ეროვნულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი საკუთარი საშუალებაა და ამიტომ გაცილებით მეტს ეუბნება იგი ჩვენ გულსა და გონებას, ვიდრე უცხოელი საუკეთესო ჟურნალი.

არა, ჩვენი აზრით, ზოგიერთი ქართველი ღვდლები იმოდომ გაურბიან ქართულ სასულიერო ორგანოში შრომას, რომ ასეთი შრომისათვის იგინი ჯილდოს და თბილ აღაგებს ვერ მიიღებენ, უმფროსთა გულს ვერ მოიგებენ, ე. ი. ქართული ნაწერები მათ რეკლამათ არ გამოადგებათ.

მამებო, ნუ გავიწყდებათ ქრისტე მსაჯული!...
ნაქულბაქველი მოძღვარი.

მეზავრის შენიშვნები.*)

შვალამე გადასული იყო და პალუბას გამოვემშვიდობე. ძილმა დამძლია და დასაძინებელ ოთახში ჩავედი. მეორე დღესაც ზღვაზე მეტად შევნიერი დღე გათენდა, დილით ძალიან ადრე წამოვდექი, რომ მზის ამოსვლის დროს პალუბაზე ვყოფილიყავი და იქ მეყურებია დიდებული მნათობის ამოსვლისათვის. გემი ნაპირებთან ახლოს მიდიოდა. აღმოსავლეთით გამოჩნდა „მზე დიადი“, რომლის ზღვაზე ამოსვლის აღწერას ჩემი სუსტი კალამი ვერ მოახერხებს...

რვა საათამდის პალუბაზე ვიდექე, ზღვის შევნიერ ნაპირებს თვალს ვერ ვაშორებდი. რვა საათზე ჩაიზე დაგვირეკეს. ჩავედი საწოლ ოთახში პირის დასაბანად, სადაც სხვა პასაჟირებს შორის ორი უკვე წამომდგარიყო და ცხარედ ლაპარაკობდენ. საგანი ლაპარაკისა იყო სოხუმის ქალაქის თავი. მოსაუბრენი იყვენ ბერძენი და რუსი. ბერძენი, ასე შვანის კაცი იქნებოდა, ქალარა შერეული, შვა ტანადობისა, თავსხვილა და ცოტა მუცელ წამოშვრილი. წვერი

*) იხ. „ზინ. საქ.“ № 6.

სამართლებლით ქონდა მოპარსული და დიდი უღვაშები კოხტად გადაგრეხილი. შავი თვალწარბი მის მეტყველებას იერს აძლევდა. ტანთ ეცვა ევროპული ტანისამოსი და, როგორც ეტყობოდა, პრაქტიკის კაცი იყო, კომერსანტი, ვაჭრობაში ძალიან გამოცდილი და იმ ადგილებზე, სადაც საუბარი განსაკუთრებით მის სპეციალურ საგანს შეეხებოდა, იგი ხმას უმატებდა და გაბედულად, შეუპოვრად ლაპარაკობდა, რომ ძალა უნებურად იზიდავდა ჩემს ყურადღებას.

— ოჰ! ძნელია აქ ცხოვრება და ნამეტურ ვაჭრობა. რუსეთში, ამ უდიდეს, დამშვიდებულს, მდიდარს ქვეყანაში უშიშრად ვერ გიცხოვრია, ვერ გივაჭრია. რომელი გაიძვერა, რომელი არამკითხე ავაზაკი დაგტყუებს და წაგცინკლავს რასმე, არ იცი. რამდენი ხანია რუსეთში პურით ვაჭრობას და შავ ზღვაზე თევზის ვაჭრობის საქმეს ვეწევი და ის ამბები, რაც მე თავს გადამხედია, რომ გამოვაქვეყნო, გამგონეს თმა ყალყზე დაუდგება და თავბრუ დაესხმის.

ჩვენში საბერძნეთში კი სულ სხვა არის... და მოჰყვა იგი თავისებურად, რომლისთვისაც მე ყური აღარ მიგდია. ყური არ დამიგდია იმიტომ, რომ თუ ბერძენმა ლაპარაკი დაიწყო, გათავება აღარ იცის, წააბამს რაჭველ მესახანდრესავით და გაბმით ერთ ხმაზე მოაყოლებს. ახლანდელ ბერძენსაც, მის ძველ წინაპარ ათინელსავით, მჭერმეტყველება და ლაპარაკი დიდად უყვარს და ეს არის მიზეზი, რომ ვაჭრობაში ბერძენსაც და ურიასაც სომეხი ყოველთვის ამარცხებს. სომეხს ბევრი ლაპარაკი, მრავალ სიტყვაობა არ უყვარს, სხვის მჭერმეტყველებაზე იგი დაცინვით იტყვის ხოლმე: „ხოხუმეს ელი“. სომეხი ყოველთვის საქმეს უწვრილმანდება, ამაზე ფიქრობს დღე და ღამ და ცალიერ ლაპარაკში არ ხარჯავს ჭკუას, არ კარგავს დროს. ადესაში ერთი ჩემი კაი ნაცნობი აზნაური ხუმარა სომეხი, გვარათ, ჰასანჯალალოვი ხუმრობით მეტყუდა ხოლმე: თურმე ვაჭრობაში ორი დიდი ვაჭნილი, ცბიერი, უშველებელი მოტლენილი ბერძენი და ურია ერთ

დიდ ქვაბში გადახარშეს და ერთი ნამცეცა, ნეკის ტოლა სომეხი გამოვიდა ამ ორ გადაღულეზულიდანო...

საწოლ ოთახიდან გარედ გამოველ და მესამე კლასის პასაჟირები დავათვალიერე, რომელნიც ზევით პალუბაზე ამოსულიყვენ. ბევრი ქართველი ახალგაზდა ბიჭები მოდიოდნენ ზღვის პირად მდებარე ქალაქებისკენ სამუშაოდ. მეიმათი ნახვა ძლერი გამიხარდა. ისინი ლამაზად მღეროდნენ „სულიკოს“, რომელსაც შვენიერად აყოლებდა სალამურს ერთი ახალგაზდა სომეხი. სომეხმა ქართული კარგათ იცოდა და გამოველაპარაკე.

— საიდან იცი შენ მოტივი ამ ლექსისამეთქი?

— მე ნოვოროსისკში ხშირად ვცხოვრობ ქართველ მუშებს შორის, ისინი მღერიან „სულიკოს“ და იმათგან მეც ვისწავლე. ძალიან კარგი ლექსია სწორედ.

ჩვენი დიდათ საყვარელი მგონის ამ შესანიშნავ ლექსს, როგორც გამიგონია, ყოველგან ენტუზიაზმით და გატაცებით მღერიან ჩვენში ქალ-ვაფნი. მახსოვს, სხვათაშორის, ამ ოთახი წლის წინათ იმ სახლში, სადაც გადაიცვალა ჩვენი გმირი მეფეთა მეფე ერეკლე II, საღამო იყო გამართული და თფილისიდან საზანდარიც იყო მოპატივებული. დიდძალი საზოგადოების თხოვნით ანტრაქტებში საზანდარმა დაუკრა „სულიკო“ და მთელი საზოგადოება აუწერელ აღტაცებაში მოიყვანა. საზანდარს უკრავდნენ სომეხები და, მგონია, ერთი სპარსელიც ერია იმათში. მაგრამ მაშინ ასე ტკბილათ არ მჩვენებია „სულიკო“, როგორც ახლა. დიდის გრძობით უკრავდა სალამურს ახალგაზდა სომეხი. ქართველებსაც ძალიან შეეყვარებოდათ ეს ბიჭი, უთუოთ იმიტომ, რომ სალამურს კარგათ უკრავდა და ქართულ სიმღერებს აყოლებდა ზედ.

ქართველ კაცს მგზავრობაშიაც უყვარს სიმღერა. ყოველი ქართველი, ქართველობაზედაც ხელაღებული, მგზავრობაში მოქიფეა, ასე ვთქვათ, პოეტია, რომელსაც თითქოს გრძნობა და ნიჭი ემატება, თანავგრძნობა და

სხვისი სიყვარული ელვიძება, რომ ვატაცებას მიეცეს და დასტუბეს ნამდვილის ესთეტიურის სიამოვნებით...

გამოჩნდა **გაგრა**, რომელიც პრინც პეტრე ოლდენბურგის სრული საკუთრებაა. აქ არის გამართული შვენიერი „გაგრის კლიმატური სადგური“. ზღვიდან ძალიან ახლოს მოჩანს დიდი, მაღალი ქედები, რომელნიც თოვლით დიზინულან. გაგრაში, თურმე, ძვირფასი ტროპიკული მცენარეები და წმინდა უცოდველი მთის ბუნება იზიდავს ადამიანს დასასვენებლად. აქ გაუმართავთ სახელმწიფო სასტუმროები და წყლით სამკურნალოც. მარტო აქაურს კლიმატურს სამკურნალოს მოსაწყობად ყოველწელიწადს ხაზინა აძლევს 31/2 მილიონს. მე გადმომიცეს, აქ გამართული ყოფილა სასტუმრო, სადაც სტუმარს დღე-ღამეში მიეცემა ერთი კარგი ოთახი, ქვეშაგების საცვლები, ელექტრონული განათებით, გათბობით და ტელეფონით 75 კაპ. მდიდრებისთვისაც არის სასტუმრო, სადაც ოთახი დღე და ღამე 7 მ. ღირს. გაგრაში ავანტიურისთვის ჰავე მეტად შეზავებულია. ზღვის ჰაერი მთის ჰაერთან შეერთებული ძალიან კარგად მოქმედობს სისხლ ნაკლებ, დასუსტებულებზე, ნერვებ აშლილებზე. გაგრა, თურმე ნამდვილ ევროპულ კურორტს მოაგონებს კაცს.

გაგრას შემდეგ არის **სოჩი**, რომელიც იქვე, ზღვის პირად ძვეს და საუცხოვო ზღვაში საბანაო ადგილად ითვლება. აქ მკურნალის პოდგურსკის წყლის სამკურნალოა გამართული. სოჩის ახლოს გოგირდის აბანოებიც ყოფილა. სოჩს ჩრდილოეთით ცივი ქარებისგან იფარავს მაღალი ქედები და მუდამ პირმცინარე, იგი კონტად გაჰყურებს ზღვას და სამხრეთის ლურჯ ცას.

ლამაზ და შვენიერ სოჩის შემდეგ ძვეს **ტუაშე**, რომელსაც კარგი მოწყობილი საბანაო ადგილები აქვს და გამკურნებელი ყურძნის მსხმო იარე ვახებით გაშენებული ვენახები.

ტუაშეს და ნოვოროსისკს შუა ძვეს **გელენჯიკი**, ანუ „თეთრი პატარძალი“, რომელიც გაზაფხულზე, თურმე, მართლაც პატარ-

ძალს გავს თავის მორთულობით, ისეთი ლამაზი და შვენიერია. გელენჯიკი სულ ერთიანად ყვავილებსა, ვარდებსა და ხეხილებში ყვინთავს და წარმოადგენს შესანიშნავს ადგილს ჰაერთაც და საბანაო წყლებითაც. აქედან ქ. ნოვოროსისკისადმი სულ 23 ვერსტია.

აი, თავდება ჩემი მგზავრობის წერტილიც და შემიძლია ორი სიტყვით დავხატო სიმდიდრე იმ შავი ზღვის პირად მდებარე ადგილებსა, რომელიც გემით გამოვიარე.

აქ მოგზაურის თვალის წინ გაშლილია თავბრუდამხვევი, წარმოუდგენელი ბუნების დოვლათი, სიუხვე და სიტურფე, რომლის ნიადაგი უძველესი დროიდან განთქმული იყო თვისი დიდი სიმდიდრით, ნაყოფიერობით, უხვი მოსავლით, მეტად თფილი ნაზი ჰაევით; აქ არ იცის ნამეტანი სიციხეები და გვალვები, რომელიც გადაწვავს, გადახრუჯავს ხოლმე ყოველიფერს ზაფხულის თვეებში, არც ყინვები იცის ზათარში. ეს მთები კი შემოსოლია სხვა და სხვა მრავალგვარი და მრგვალფეროვანი ძვირფასი ჯიშის ხე-ტყეებით და ამ მთების შუაგულ მიწაში მარხია ყოველგვარი უმდიდრესი მადნები ათასნაირი ლითონებისა; თვითონ ზღვა, ეს კლასიკური შავი ზღვა, რომლის ნაპირებზეც აყვავდა უძველესი კულტურა და ცივილიზაცია, მდიდარია უთვალავი, სხვა და სხვა გვარი თევზებით და ზღვის ღორებით (დელფინებით).

ამიტომაც, აქ შესაძლებელია კოლოსალური განვითარება მიეცეს პირდაპირ წმინდა ევროპულ მეურნობას, აყვავდეს და გაშენდეს თანამედროვე ხილნარი, გაჩაღდეს მეფუტკრობა, მებოსტნობა, მევენახობა, მეთამბაქობა, მეაბრეშუმობა, ხე-ტყეთა წარმოება და სხვა და სხვა. ამასთან ერთად აქ შესაძლებელია გაიმართოს, მოეწყოს და მოეფინოს წმინდა ევროპული ფაბრიკები და ზავოდები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის შვილებს ათასობით და ათიათასობით მოუყრიდა თავს და მისცემდა საზრდოს, გაწრთენიდა გონებითაც და პოლიტიკურადაც. თვითონ ზღვაც ხომ ათას ზღვაოსანს და ამ-

დენსავე ევროპულად თევზის მოვაჭრეს აღგვი-
ზრდიდა და სხ...

(უმადევი იქნება).

ხომლელო.

კვირილამ-კვირიამდე.

4 აპრილს მოხდება მზის დაბნელება, რო-
მელიც მთელ ევროპის რუსეთში იქნება შე-
სანიშნავი.

მისმა მეუფებამ, ებ. გიორგიმ, შუამდგო-
მლობა აღძრა კონტორის წინაშე დააჩქარონ
იმერეთის სამღვდლოების სამარხი კასის დამ-
ტოციების საქმე.

სწორეთ რომ გასაკვირვებელია მ. რექტო-
რის საქმე, რომელსაც აგერ ერთი წელიწადი
გადის ხელში უჭირავს წესდება და არავითარ
მსვლელობას არ აძლევს.

მისმა მეუფებამვე უბრძანა სასულიერო სას-
წავლებლის მართველობას, დააჩქაროს ებ. გა-
ბრიელის ქადაგების გამოცემა და გადასცეს
იგი ამისთვის „ძმობის“ სტამბას.

რევიზორმა ბ. სავაიციკიმ უკვე ლაათვალ-
ერა სასულიერო და საქალბო საეპარქიო სა-
სწავლებელი. როგორც გადმოგვცემენ ბ. რე-
ვიზორი კმაყოფილი დარჩენილა საქალბო სა-
სწავლებლის წესრიგის და მართვა-გამგეობის,
აგრეთვე ძალიან მოსწონებია ორივე მხარე
აღზრდისა, როგორც გონებრივი, ისე ზნეობ-
რივიც. ცოტა რამ შენიშვნები მიუცია კანცე-
ლარიის საქმეების წარმოების შესახებ. რა შთა-
ბეჭდილებით გამოვიდა ბ. რევიზორი სასული-
ერო სასწავლებლიდან, დანამდვილებით არ ვი-
ციტ, საზოგადოთ კი ხმა დადის, ვითომ ვერ
წასულიყოს კმაყოფილი.

კვირას, 19 თებერვალს ექსარხოსმა ინო-

კენტიმ სწირა დარის მონასტერში, ყ-დ სამ-
ღვდლო ანტონის თანამწირველობით; მეტი
წილი ასამაღლებელთა ექსარხოსმა ქართულად
წარმოსთქვა.

ამას წინათ ვსწერდით, ცაგერის საბლად-
სამღვდლოებას ბლადოჩინის არჩევის უფლება
მიეცაო. ეხლა როგორც გტყობილობთ, ასეთი
უფლება ლაშხეთის საბლადოჩინო სამღვდლო-
ბას მისცემია.

ახალი საყდრის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის
მრევლმა მღ. ვას. ქინქლაძემ და მედავითნე
ლაერ. ქინქლაძემ გასული 1911 წლის დრამა
ფული ამავე ეკლესიის მხატვრობის შესაძენათ
შესწირეს საზოგადოებას.

როგორც გავიგეთ, თფილისის სასულიე-
რო სემინარიის 150 მოწაფეს უთხოვია სას-
წავლებლიდან განგვათავისუფლეთო.

ამბობენ ექსარხოსს სინოდისთვის ტელე-
გრამით მოუხსენებია, მოსწავლეები არაფერ
შუაში არიან, არეულობა თვით სემინარიის ინ-
სპექციის ბრალიაო.

ყოვლადსამღვდლო იმერეთის ეპისკოპოზ-
მა გიორგიმ „კოლხიდის“ რედაქციას ექვსი თუ-
მანი გაუგზავნა ერთდროულ დახმარებათ წ.
კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებისთვის.

**....„და მთავრობის მოუხვარებისასა
ნუ მიბემა მე.“**

წერილი სვანეთიდან.

როგორც მოეხსენება მკითხველებს, ლაშხეთის
საბლადოჩინო ოლქი, რომელიც თავის წებით
შეუერთდა ცაგერისას 1906 წელში, ყოვლად
სამღვდლო გიორგიმ გამოყო ცალკე საბლადო-
ჩინოთ და კეთილმოწესედ დანიშნა მ. ი. მუსე-
რიძე. უეჭველია, მისს ყოვლად უსამღვდლოე-
სობას მიზნათ ისა ჰქონდა, რომ ამ გამოყოფით

და საკუთარი კეთილმოწყისის დანიშნით გადმო-
 ღმა სვანეთის ეკლესიებსა და სამღვდლოებს
 მეტი მზრუნველობა და მწყემსობა რგებოდათ. მაგ-
 რამ ახალი განკარგულებით ხსენებული ოლქი
 ზედმეტ უხერხულობასა და გაჭირვებაში ჩავარ-
 და. სჩანს—მის მეუფებს არ გააცნეს რიგისა
 მებრ ადგილობრივი მდებარეობა, თორემ ამ-
 გვარ განკარგულებას არ ინებებდა. ს. ლაი-
 ლაში, სადაც ცხოვრობს მამა მუსერიძე და ს. უსა-
 ხელო, სადაც იგი ირიცხება მღვდლათ, ძრიელ
 და შორებულია სვანეთიდან და ძნელად მისა-
 დაგომნი არიან. სადალიანო სვანეთი, რომელიც
 შეადგენს ლაშხეთის ოლქს, მდებარეობს კლდე-
 ღრეებში და გაჭიმულია ნა ვერსის სიგრძეზედ
 მდინარე ცხენის წყლის პირად. გზები მიუღვო-
 მელი და საშიშია, ზამთრობით ხანდისხან კიდევ
 შეიკვრება, და ამიტომ მისი მდგომარეობა სულ
 განკარგობულ პირობებშია. აქედან ერთად-
 ერთი ბუნებრივი ვასავალია დ. ცაგერში, სადაც
 სვანეთის მცხოვრებთ ხშირი მიმოსვლა აქვთ.
 ცაგერიდან ლაილაშამდე წამოსულმა ჯერ ორ-
 ბელის წვერის აღმართი უნდა გადალახოს, მერ-
 მე ლაილაშის აღმართს უნდა შეუდგეს და ამგ-
 ვარად ცაგერიდან 15 ვერსი უნდა გაიაროს
 ტალახიანსა და ღელე-ღულე გზებზედ, რაც ნა-
 მდვილად 30-40 ვერსის გავლას უდრის. ასე
 რომ საბლადოჩინოს ზემო პუნქტიდან ლაილა-
 შამდე ნა ვერსია, რომელიც ნამდვილ ას ვერსს
 უდრის ცუდი გზების გამო. მამა მუსერიძემ ეს
 ყოველივე იცოდა და ნუ თუ ვალდებული არ იყო
 მოეხსენებია მისი მეუფებისათვის საქმის გარემო-
 ება? ამდენ უხერხულობასთან მამა მუსერიძე
 სკოლების მეთვალყურეცაა და ლაილაშის სკო-
 ლაში საღვთო სჯულის მასწავლებელიცა, ხო-
 ლო ს. უსახელო, სადაც მღვდლად ირიცხება,
 ლაილაშიდან 12 ვერსია და ნუ თუ კეთილ-
 მოწყობის მიმატება არ აზარალებს ერთსა და
 მეორესა, შესამესა და მეოთხე სამსახურსაცა?
 ლაშხეთის საბლადოჩინოს სამღვდლო-
 ება იმედოვნებს, რომ მისი მეუფება საქმესთან
 გაცნობის შემდეგ გამოიყვანს მას უხერხულსა
 და გაჭირვებულ მდგომარეობიდან, რის შესა-
 ხებ იგი კიდევ აპირობს არძის პირთმეფას...

მამა მუსერიძეს ეფრემ ასურელის სიტ-
 ყვები არ განსენებია დიდ მარხვაში, თორემ ამ
 საქმეზე არამც თუ არ უნდა ცდილიყო, პირი-
 კით ძალითაც რომ შეეძლიათ, უარი უნდა განე-
 ცხადებია და თუ იმდენს მოქალაქობრივ პატი-
 ოსნებას გამოიჩენდეს, რომ თავისთავად უარს
 განაცხადებდეს კეთილმოწყობაზე, მშვენიერი
 მაგალითი იქნებოდა ჩვენ გათახსირებულ დრო-
 ში.

მღვდელი

გ ა ფ ი ც ვ ა .

ამ ჟამად ინგლისში ქვანახშირის მუშების
 საყოველთაო გაფიცვაა. სხვათა შორის მუშე-
 ბი თხოულობენ გადაწყვეტილ სამუშაო ქირის
 მინიმუმის დაარსებას, მიუხედავად დამუშავებუ-
 ლი ნახშირის რაოდენობისა, რაც ხანდახან ძრი-
 ელ მცირეა. სამთო მექარხნებში თავის მხრით
 უარი განუცხადეს მუშებს და გადაწყვეტილი
 უთხრეს, რომ იგინი არ დათანხმდებიან ზემო-
 ხსენებულ მოთხოვნისებაზე მაშინაც კი, რომ
 სამუშაო ქირის მინიმუმი ერთი შილლინგით
 (ათი შაური) განისაზღვროს.

რამოდენ ზიანს მოუტანს ეს გაფიცვა არა
 თუ მხოლოდ ინგლისს, არამედ სხვა ბევრ სა-
 ხელმწიფოებსაც, ამაში დავრწმუნდებით შემ-
 დეგი სტატისტიკური ცნობებით: გასულ იანვ-
 რის თვეში ინგლისიდან გამოუტანიათ ქვა ნახ-
 შირი ხუთ მილიონ ნახევარ ტონაზე მეტი.
 აქედან საფრანგეთს წაუღია 940 ათასი ტონი,
 იტალიას—842, გერმანიას—580, ისპანიას—
 400, შვეციას—290, დანიას—250, ნორვეგი-
 ას—212, ბელგიას—165 და სხ.

1911 წლის განმავლობაში ინგლისს საზ-
 ლვარგარეთ გაუტანია 68 მილიონი ტონი ქვა-
 ნახშირი, ღირებული 375 მილიონ მანეთათ.

დღეს. როგორც გამოირკვა, გაფიცვაში
 მონაწილეობა მიუღიათ 1,031,967 მუშას. გა-
 ფიცული მუშების სათადარიგო თანხა 27 მი-
 ლიონ მანეთს უდრის. ამ ფულით მუშები აპი-
 რებენ ექვს კვირას განაგრძონ გაფიცვა. თუ ასე

მოხდა, ინგლისში ბევრი ქარხნები დაიხურება და 5 მილიონამდე მუშა ხალხი დარჩება ცუდათ.

მატერიალიზმი.¹⁾

ცნობილ წრეებში ძრიელ გავრცელებულია მოძღვრება, რომელსაც დასაბამი დამოკრატიდან²⁾ მოაქვს და რომელიც ცნობილია მატერიალიზმის სახელით; ბევრი დღემდის კიდევ ფიქრობს, რომ მატერიალიზმი არის ჭეშმარიტი და უტყუარი მეცნიერება.

მატერიალისტური მოძღვრება ამტკიცებს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი სამარადისო, დაუღვეველი ნივთიერება და მისი გამოცხადებანი, ე. ი. ძალები, და ყველა უმაღლესი სულიერი მოვლენებიც კი სხვა არა არიან რა, გარდა ამ ძალებისა შედეგების მოქმედებისა. მატერია, ნივთიერება, — ამბობენ მატერიალისტები თავისთავად გასაგები და ცხადია ყველასათვის, ამიტომაც გასაგები და ცხადნი არიან ყველა მოვლენანი, რომლებსაც შეცთომით აწერენ სულის გავლენას. აქედგან გამოდის, ამბობენ იგინი, რომ ჰიპოტეზა³⁾ სულის არსებობის შესახებ მეტია და, როგორც ასეთი, მენებელი. ასეთი მსჯელობა, ყოველ შემთხვევაში, ატყვევებს ადამიანს თავის სიმარტივით! მაგრამ შეეფერება თუ არა იგი გარემოებათა არსებას, გვიხსნის თუ არა იგი სავსებით კაცობრიობის სულიერ ცხოვრებას, აი ამ საკითხებში ჩვენ შევეცდებით ეხლა გამოვერკვეთ.

რომ დავაკვირდეთ ბიუნერის, ფოხტის, შპილერის, გეკელის, გარტმანის და სხვების აზრებს მსოფროზე, რომლებსაც ეხლაც ბევრი აღმსარებელი ჰყავთ, ადვილათ დავინახავთ, რომ ჩვენ აქ საქმე ჭეშმარიტ მეცნიერებასთან კი არ გვაქვს, იმ მეცნიერებასთან, რომელიც მიუდგომელათ იკვლევს ფაქტებს, არამედ მეც-

¹⁾ მოძღვრება, რომელიც უარყოფს ღვთის არსებობას და ამტკიცებს, რომ ქვეყნიერების გამჩენი უსულგულო ნივთიერებაა, რომელიც ყოველთვის იყო არის და იქნება.

²⁾ დემოკრიტი ბერძენთა ფილოსოფოსია, რომელიც სცხოვრობდა რამოდენიმე საუკუნით ადრე ქრისტეს დაბადებამდე.

³⁾ აზრი, მოსაზრება.

ნიერებისა და სპეკულიაციის¹⁾ დომხალთან, — ისეთ მოძღვრებასთან რომელსაც შეგვიძლია დავარქვათ ურწმუნოების რელიგია.

გასაკვირველია ის რომ ეს მოძღვრება, რომელიც უარყოფს ყველა რელიგიას, თავის საკუთარ მსოფლმხედველობის საფუძვლად აყენებს შემდეგ, თუმცა უარყოფითს, მაგრამ რელიგიურ დებულებას: „მე მრწამს, რომ არ არსებობს ღმერთი!“ მაგრამ ეს დებულება მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს, არავითარ ფაქტებით მისი დამტკიცება არ შეიძლება და არასოდეს არ შეიძლება დამტკიცებულ იქმნეს. რამდენიც უნდა ვქექოთ ქიმიკა, ასტრონომია, გეოლოგია, ზოოლოგია და სხ., რამდენიც უნდა ვიკვიროთ მიკროსკოპში, ტელესკოპში, ერთ ფაქტსაც, ერთ ფორმასაც, ერთ მოვლენასაც ვერ გამოთვინავთ ნივთიერებაში (მატერიალისტებს ნივთიერების მეტი არაფერი სწამთ) იმის მაჩვენებელს, რომ ღმერთი არ არსებობს; — ყველა ასეთი ცდა ამოდ ჩაივლის. ვთქვათ, ასეთი ფაქტი კიდევაც მოინახა. ამ შემთხვევაშიდაც შეუძლებელია უარყოფით ღვთის არსებობა, რადგან ერთი თვითმყოფი არსება, როგორც არის მატერიალისტების მატერია, ვერ დამტკიცებს მეორე ისეთი არსების არ ყოფნას, რომელიც დამოკიდებულია მისგან. და მატერია თვითარსება იყოს; განა ეს გარემოება ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ღმერთი არ არის?! რა ნაირათ შეიძლება ერთი თვითარსის არსებობამ უარყოფს მეორე თვითარსის არსებობა? —

ჩვენ არ მოვიყვანთ აქ აურაცხელ დიდ და ბრძენ ადამიანებების თქმულებებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქვეყნიერების წარმოდგენა უზუნაეს მმართველის გარეშე შეუძლებელია, რომ მსოფლიო ისტორია გაუგებარი იქნებოდა უამისოთ; ჩვენ მხოლოდ ვიტყვი, რომ მატერიალისტების დებულება ღვთის არყოფნის შესახებ, არ შეიძლება დამტკიცდეს მეცნიერულად.

რადგან ადამიანის სულის სიღრმეში და-

¹⁾ სპეკულიაცია ნიშნავს, როცა ადამიანი თავის განზრახვას რომელიმე გვარ საფუძველზე კი არ აფუძნებს, არამედ „იქნება“ — შეიძლებაზე რედ.

დებულება მცნება—„შენ უნდა წლოცო“, ამიტომ მატერიალისტები ცოცხალ ღვთის მაგიერ იძლევიან მკვდარ ღმერთს. მათი მოძღვრება ღალატებს: „მე მრწამს სამართლის ნივთიერება, რომლისაგან წარმოსდგებიან უოველნი ძალნი, რომელმაც შექმნა ყოველივე, რომელმაც თითონ არაფერი იცის, მაგრამ იპყრობს კი თავის შორის ყოველ ცოდვას“. და იმავე შეუწყნარებლობით და დარწმუნებით თავის უცთომელობაში, რაშიდაც მატერიალიზმი ემდურის ქრისტიანობას, თხოულობს ამ კერპთა სრულ რწმენას. აი რას ამბობს ერთი მატერიალისტთაგანი შპილლერი ამ თავის კერპ პირველ ყოფილ ნივთიერებაზე, რომელსაც ის მსოფლიო ეთერთ სახელდება: „დაუსრულებელი, დაუსაბამო (ე. ი. შეუქმნელი და მოუსპობელი ყოველთვის) ნივთიერება არის შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, მან შეგვქმნა ჩვენ, ადამიანები; იგი მართავს მთელ ქვეყნიერებას; იგი სამართლიანობის განხორციელება; იგი არაძოდვს არ სცთება, რადგან უგრძობლათ და წინაგანუზრახველათ მოქმედობს“. (Gott im Lichte der Naturwissenschaften стр. 120). 84 გვერდზე იგი ამბობს: „სული თავის თავათ წარმოადგენს სხეულის ატომების და მსოფლიო ეთერის ერთიერთიერთზე ზეგავლენას“. შპილლერი აუწყებს იმ მატერიალისტებს, რომლებიც ამბობენ, ხილული ნივთიერება პირველი მიზეზია ყოველივესიო; იგი აუგებს და დასცინის გარტმანის „Subvusstes“-ს*). გარტმანი კი თავის მხრით ამბობს: ნივთიერება ოცნება არის. რა ნაირი ერთნაირის წინააღმდეგი დოგმატებია!?

ღ ი ა წ ე რ ი ლ ი .

თქვენო ძადალ კურთხევაჲ, ძაძაო ბლაღოწინო იოანე!

განმავლობს ათი წელიწადი, რაც თქვენა ბრძანდებით ჩვენი ოლქის ბლაღოწინათ, დღეს თქვენის ნებითვე თავს ანებებთ ამ თანამდებობას, ამის გამო ზნეობრივად ვალდებულ-

ნი ვართ მოგახსენოთ ჩვენი გულ-ნადები სიტყვა: თქვენი გამოცდილება, მხნეობა, თავგამოდებული ზრუნვა ეკლესიისა და სამღვდლოების სასარგებლოდ პირველვე თავს მდები იყო იმისი, რომ თქვენ შეეფერებოდით ამ თანამდებობას. გულწრფელობა, გულახდილობა და ხასიათის სიმაგრე პირველად თუმცაღა სამღვდლოებამ და ხალხმა ავგულობათ ჩამოგართვათ, მაგრამ მალე საქმემ დაგვარწმუნა სულ წინააღმდეგში. დავრწმუნდით, რომ გულჩახვეული კაცი საშიშია, ვინემ გულახდილი. ამის გამო სამღვდლოებაც და ხალხიც თანდათან შეეჩვია თქვენს ხასიათს და ჩვენ შორის სიყვარული დამყარდა. რა იქნებოდა, რომ სამღვდლოებას გაგვიჭირებოდა და თქვენ არ დახმარებოდით, თუკი ვინმე გთხოვდათ დახმარებას. თქვენ მიერ ხალხში მოხვეჭილი გავლენა და ნდობა დიდი იმედი იყო ჩვენთვის. თქვენი დაულალავი შრომა და ენერჯია იყო იმის მიზეზი, რომ ამ ათი წლის განმავლობაში ამ მცირე თორმეტ კრებულისან ოლქში ოთხი ქვის ეკლესია აშენდა და ცხრა ეკლესია განახლდა—შეკეთდა. ყოველივე ეს გვაეალებს ამ მცირე ბარათით მადლობა შემოგწიროთ იმ მწყემსობა—წინამძღვრობისათვის, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში გაგვიწიეთ უანგაროთ. ჩვენი თქვენდამი სიყვარული დაუვიწყარი იქნება დიდ ხანს.

დავითუნათ თქვენა მადრაუღნა:

1. მღვდელი არსენი ონიანი, 2. მედავითნე ტარასი დაშნიანი, 3. მღვდელი ანთიმოზ ნემსაძე, 4. მღვდელი დოროთე ასათიანი, 5. მღვდელი სოლომონ ჯანხოთელი, 6. მღვდელი ნესტორ გაბლიანი, 7. მღვდელი პორფირი ჩხეტიანი, 8. მღვდელი ევგენი ონიანი, 9. მღვდელი ტარასი ფოფხაძე, 10. მედავითნე დავით პირველი, 11. მედავითნე ივანე ონიანი, 12. მედავითნე ივანე ონიანი, 13. მედავითნე ერმალოს ხაბულიანი, 14. მედავითნე ანდრია ხარძიანი, 15. მედავითნე მელიტონ გოსლიანი, 16. მღვდელი გიორგი ტვილიდიანი, 17. მღვდელი საბა ფრუძე-

*) უგრძობელობა.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

„Прот. Корн. С. Кекелидзе. Иерусалимский Канонарь..“

ამ სათაურით მ. კორნელი კეკელიძემ დაბეჭდა სევანთში აღმოჩენილი ხელნაწერები. წარსული წლის ზაფხულში მ. დეკანოზს უმგზავრნია სევანთში და აღმოუჩენია ს. ლახილში და კალში ორი ძველი ქართული ხელნაწერი. ორივე ხელნაწერი დაზიანებული ყოფილა, მაგრამ ერთიმეორეს ავსებენ და იმასაც, რაც დარჩენილია მათში დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის.

ს. ლახილში აღმოჩენილ ხელნაწერს მ. კეკელიძე ადარებს სინას მთის ხელნაწერთან, რომელიც აღწერილი აქვს პრაფ. ცაგარელს. ორივე ხელნაწერებს ერთი და იგივე სათაური აქვთ და შინაარსიც. ცაგარლის მიერ აღწერილი ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა 982 წელს; ლახალის ხელნაწერი ამაზე ადრე ვერ გაჩნდებოდა, ის არის კობიო სინას ხელნაწერისა, თუმცა არა პირდაპირი კობიო, მათშუა სხვა ხელნაწერებიც ყოფილა. კალის ხელნაწერი კი ავტორს მიაჩნია სინას ხელნაწერებზე უფრო ადრეულად და მის აზრით გადაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 897 წლისა.

ორივე ხელნაწერი-კალისა და ლახილისა შეიცავენ იმ ტიპიკონს, რომლითაც სრულდებოდა ღვთისმსახურება დიდ დღესასწაულთა იერუსალიმში. მეცნიერებში ცნობილია იერუსალიმის ეკლესიის ტიპიკონები, რომლებიც გამოსცეს პრაფ. დიმიტრიევსკიმ და კერაშევსმა, მაგრამ ეს ტიპიკონები გამოცემულებია 1122 წლის ხელნაწერებიდან; ამაზე უადრესი კი მეცნიერებში დაკარგულად ითვლებოდა. ეხლა ეს ტიპიკონები აღმოაჩინა და დაბეჭდა მ. კ. კეკელიძემ. აღნიშნულ ტიპიკონის რედაქცია, მ. კეკელიძის აზრით, უნდა ეკუთნოდეს 634-715 წლებს, იერუსალიმის პატრიარქის სოფრონის ეპოქას, ქართულად თარგმნილია არა უადრეს 8 საუკუნის ნახევრისა. ქართული თარგმანი შეხამებულია საქართველოს ეკლესიის საკანონმდებლო საბაზისთან—აქ მოიპოვება ხსენება ქართველთა წმი-

დათა: ჰამბა კათალიკოზისა, წმ. კოსია ქართველისა, მცხეთაში ჯვარის აღმართვისა. არც კათალიკოზს ჰამბს, არც წმ. კოსმა აქამდე საქართველოს ეკლესიის ისტორია არ იცნობდა.

ხელნაწერს დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის, რადგანაც იაში მოიპოვება მრავალი ისეთი ცნობა ზოგიერთ წმიდებზე, დღესასწაულებზე, ადგილებზე, რომლებიც აქამდე ისტორიამ არ იცოდა, ან თუ იცოდა, საექვოდ და მცირედ. ამავე წელში დაბეჭდილია წმ. ექვთიმის სინაქსარი, რომელიც მ. კ. აღმოუჩენია სიონის მუზეუმში და რომელიც არის ყველა ეხლა ცნობილ რედაქციებში, უძველესი მოკლე რედაქცია კონსტანტინეპოლის ეკლესიის ტაბიკონისა.

მ. კეკელიძის მეცნიერულ შრომაში, შემდეგ, შესავლისა, დაბეჭდილია თვით ხელნაწერი რუსულ თარგმანით. შემდეგ ამისა მოყვანილია ძვირფასი მეცნიერული შენიშვნები დღესასწაულების, წმიდათა ხსენების და სხვ. შეეხება; ეს შენიშვნები საქ. ეკლესიის ზოგიერთა დღესასწაულებსაც, მგ. წმ. გიორგობას, მცხეთაში ჯვარის აღმართვას. ავტორის აზრი მცხეთის ჯვარის აღმართვის დღესასწაულის შესახებ განიჩნევა ჩვეულებრივ ტრადიციულად მიღებული შეხედულობისაგან. მისი აზრით, მოთხრობა მცხეთის ჯვრის აღმართვის შესახებ გადმოღებულია ბერძნული მოთხრობიდან კონსტანტინე დიდის დროის ჯვრის აღმართვის შესახებ. ეს აზრი ავტორს ჯეროვნად დასაბუთებული აქვს ამ ორ მოთხრობათა შედარებით. წიგნი სუფთად არის გამოცემული არქ. ნაზარის ხარჯით და ღირს 2 მანეთი.

მწიგნობარი.

ქართულ მკითხველ საზოგადოებას ამ მოკლე ხანში ერთი მშვენიერი წიგნაკი კიდევ შეეძინა. სულ რამოდენიმე კვირას, რაც სტამბილამ გამოვიდა ს. ა. ქვარიანის შრომა: „ქართველი ერის ტრავედია მე-17-ტე საუკუნეში“ (გიორგი სააკაძე და მისი დრო.) წიგნაკი გვაცნობს საქართველოს ისტორიიდან იმ საბედისწერო ხანას, როდესაც უნდა გადაწყვეტილიყო ივერიის ყოფ-

ნა-არყოფნის საკითხი, ქართველობას საბოლოოდ მოსპობა ან კიდევ არსებობა. წიგნაკის ლურსმანი, ანუ მთავარი გმირი, გიორგი სააკაძე და ეს ბუმბერაზი დახტულია, რანდენათაც კი შესაძლოა იმ წყაროების მიხედვით, რომლებიც ხელთ ჰქონია წიგნაკის აექსონს, სავსებით და ობიექტურად. თუ სახეში მივიღებთ წიგნაკის სუბუქს, მოხდენილს და ალაგ-ალაგ პოეტური მხატვრობით ჩამოქანდაკებულ ენას, უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებული წიგნაკი მოკლე ხანში ხალხის საყვარელ საკითხავ წიგნად გახდება.

ძმური ერთგულებით ურჩევთ ქართველ სამღვდელოებს ხელი შეუწყონ ამ სასაგებლო წიგნაკის გავრცელებას თავიანთ მრევლებში. ამ გვარი შანაარსის წიგნაკები აფრთოვანებენ, ზნეობას უფაქიზებენ და საზოგადოებრივ კეთილგრძნობებს უღვიძებენ მკითხველებს.

ბლად. თეოფანე კალანდარიშვილის რაპორტი ეოვლადისამღვდელთა ლეონიდი-სადმი.

სიკიროთ მიგვაჩნია გავაცნოთ სამღვდელოებს ეს შესანიშნავი დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, თუ რამდენათ აბუჩათ აგდებულია ადგილობრივი სამღვდელოება იმ პირთაგან, რომელნიც მოწოდებული არიან მათ თანაშემწეთ და დასახმარებლათ ქრისტიანობისა და ზნეობის განმტკიცებაში.

„23 თებერვალს მე ტელეგრამით მოვახსენე თქვენ მეუფებას, რომ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა არქიმანდრიტმა სტეფანემ ძალით გამომაჯიგღივა სასწავლებლიდან. ამით მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს მოვახსენო თქვენს მეუფებას დაწერილებითი ამბავი ამ სამწუხარო და არგაგონილ სასწავლებლის ცხოვრებაში შემთხვევისა. 23 თებერვალს საქმისა გამო მ საათზე სასწავლებელში მივედი. რადგან ჯერ გაკვეთილი არ დაწყებულიყო, მე დავსვენე სამასწავლებლო ოთახში, და ველოდებოდი კლასების მეთავალყურე ჩხეტას, რომელთანაც საქმე მქონდა და რომელსაც მოვე-

ლოდი სამასწავლებლო ოთახში შემდეგ გაკვეთილის დაწყებისა. მის მოლოდინში მე იქვე სკამლოგინზე მივჯექი და გაზ. „Кавказъ“-ს დაუწყე თვალთვლება. მ. ზედამხედველმა, რომელსაც მე სალამი მივეცი, მკითხა: „ვინ მოგიხმით და რისთვის შემოსულხართ აქო. აქ კლუბი არ არის და არც ადგილია გაზეთის კითხვისა, მე ვიცი, რისთვისაც მოსულხართ და რა გინდათ ქნათ. განა არ უთხორობია მის მეუფებას თქვენთვის სასწავლებელში ნუ დაიარებითო! წადით, წადით აქედან და კვლავ არ გამოჩნდეთ სასწავლებელში!“ ამ სიტყვებით მან მომიკიდა ხელი და ძალით გამომაგდო გარეთ სამასწავლებლო ოთახიდან, მიმიყვანა კიბეზე და მომარეჯგვა კარი.

სამასწავლებლო ოთახშივე მე ვეცადე ამეხსნა მისთვის, რომ მე, როგორც გამგეობის წევრი (Членъ провленія) და წარმომადგენელი სამღვდელოებისა, ნება მაქვს ვიარო სასწავლებელში, რომ ეს კანონის წინააღმდეგი არ არის მით უფრო, რომ ჩემი მოსვლა სასწავლებელში არაფერ ცუდ შედეგებს არ იწვევს მისთვის. მაგრამ სამწუხაროთ არაერთარმა ჩემმა განმარტებამ და საბუთებმა გავლენა არ იქონიეს და მე გამოგდებულ ვიქმენ სასწავლებლის შენობიდან, როგორც ზემოთ მოვიხსენე. მამა ზედამხედველის ასეთ მღელვარების მნახველი მასწავლებლები გაკვეთილებზე გაემშურენ და მე კი გაძევებულ ვიქმენ ბ. გალობის მასწავლებლის გეგექკორის (რომელიც იმ წუთში იქ ბძანდებოდა) სიცილ-ხარხარის თან მოყოლებით.“

ქვევით მ. კალანდარიშვილი სთხოვს მის მეუფებას, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და შესაფერი ზომები იხმაროს, რადგანაც მ. ზედამხედველი არავითარ ყურადღებას არ აქცევს სამღვდელოების წარმომადგენელ წევრებს და დაუფარავათ ლაპარაკობს, სასწავლებლის გამგეობა მე მეკუთვნის და გამგეობის წევრებთან ბჭობა არ მწადიანო. როგორც რაპორტიდან სჩანს სასწავლებლის სამართველოს მეორე წევრი მ. დეკ. ა. კალანდარიშვილი კაი ხანია თურმე აღარ დაიარება სასწავ-

ლებელში, რადგან მ. ზედამხედველთან უსიამოვნობას ვირიდება.

რაც უნდა იყოს, მღვდელს უფრო მეტი პატივით მოპყრობა უნდა, თუ მამა არქიმანდრიტი სტეფანე თავის ხარისხს მაინც ცოტათი პატივცემს. ჩვენი ზედამხედველების თვითნებობის ასეთი მაგალითები ბევრია ჩვენ ცხოვრებაში, მაგრამ ვინ არის მოწყალე და პატრონი. „რევიზორები“ თუ მოდიან უფრო იმისთვის, თუ რა სეპარატიული მიმართულება ენახათ, რომ სამსახურში წინ წაიწიოთო. არ ვიცით რა განკარგულებას ინებებს და როგორ შეხედავს ამ ინციდენტს ბ. სავაიცი, რომელიც უთუოდ გაიგებდა ამას თავის სენაკში მყოფობის დროს. ენახათ როგორ განაათებენ ამ სამწუხარო ფაქტს.

მადლობს გაგიმოსხადება.

მამაო რედაქტორო!

+ გთხოვთ უმორჩილესათ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში იმ პირთა სიას, რომელთაც გამოიღეს თავისი წვლილი ჩვენი ისტორიული დიდებული ნაშთის, ბაგრატიის ტაძრის გარშემო ზღუდის გასაკეთებლად.

ბლად. მღ. ი. მარგიანი 2 მ. მღვდელნი: სამ. დაშნიანი, მ. თავვაძე, დ. ახვლედიანი, ა. ჩაკვეტაძე, ლ. ირემაძე, თითო მანეთი. დ. ომონაძე 60 კაპ. კ. ბურჯანაძე, ა. ჩარკვიანი, ა. კობალიანი, დ. გორდულაძე, ე. სვანიძე, პ. ახვლედიანი. ათ-ათ შაური. მღვდელი ანდრია გოლეთიანი, ი. თავვაძე, ი. ჭაბუკიანი, მედავითნე ტ. დაშნიანი, ხუთ-ხუთი შაური. მედავითნე ე. გოლეთიანი, 30 კაპ. მედავითნე ვ. თავვაძე, ი. კობალიანი, ა. ჩიქოვანი, პ. კობალიანი, ი. ფრუიძე, ი. ახვლედიანი, თითო აბაზი. მნათე ზ. კობალიანი 15 კაპ. მედავითნე ე. სვანიძე, მ. კობალიანი, ორ-ორი შაური. სულ 13 მ. 70 კაპ. რომელიც დანიშნულები-სამებრ წარიგზავნა.

ბლად. მღ. ი. მარგიანი.

მამაო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთ

„შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო გორის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდლო ანტონს, რომელმაც ამა 1912 წლის განმავლობაში ჟურნალი „ნაკადული“ დაუკვეთა ქუთაისის სასაფლაოს მთავარანგელოზის ეკლესიის სამრევლო შკოლას.

მასწავლებელი დიკ. სამუილ ანთაძე.

მმართველი შკოლის მღვდელი იეროთეოზ ნიკოლაძე

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის

„შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ როგორც პირადად ჩემგნით, ისე სოფ. სამთისის წმიდის გიორგის ეკლესიის მრევლის მხრით, ქალაქ თბილისში მცხოვრებს იაგორ ელისეს ძეს ბუხრაშვილს, რომელმაც რწმუნებულ ჩემდამო ხსენებულ სოფლის ახლად აშენებულ ეკლესიას შემოსწირა ზარა, ღირსებული (მოტანილ) ას ოცი მანეთი (120 მან).

ვიმედოვნებთ, რომ მას, იაგორ ელისეს ძეს ბუხრაშვილს, წაჰბაძენ ცოტათ თუ ბევრად შეძლებულნი ქალაქებში დროებით მცხოვრებნი ს. სამთისის მკვიდრნი და არ დაიშურებენ შეძლების და გვარად წვლილს თავის სამშობლო სოფლის ეკლესიის გასამშვენებლად, რისთვისაც მათ გულწრფელი მადლობა გამოუცხადებათ ბექდვიითი სიტყვით. გაზეთის საშუალებით.

სამთისის წმიდა გიორგის ეკლესიის მღ. იელიანე ჩლაიძე.

შინაური საქმეების ფოტა.

შორაპნის და საქარის ოლქის საბლალოჩინო სამღვდლოებს რედაქცია უმდაბლესათ სთხოვს გაზეთი ბ. ა. არაბიძისა და ს. ფარადოვის სტამბაში „შრომა“ დ. ზესტაფონში მოიკითხოთ.

სეირის საბლალოჩინო სამღვდლოებს გაზეთი შარშანდულეზ ბაღდათის სამკითხველოში ეგზავნება.

რედაქტორი, მღვდელი ს. მგებლიძე.

გამომცემელი იოსებ ლეჟავა.